რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდ

კვირა, 19 მაისი 1918 წ.

129

ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 100 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 100

კვირას, 19 ამა მაისს, ორმოცი დღის თავზე გარდაცვალებისა ტრაღიკულად მოკლულის სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს

გიორგი ზაალის ძის მაჩაბლის

სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნება კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში დილის 10 საათზე წირვა და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის სასაფლაოზე, რასაც ქვრივი და შვილები მისი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს.

კვირას, ამა მაისის 19, ორმოცი დღის თავზე გარდაცვალებისა ტრაღიკულათ მოკლულის სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს

გიორგი ზაალის ძის მაჩაბლის

სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნება კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში, დილის 10 საათზე, წირვა და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის სასაფლაოზე, რასაც გუბერნიის კომისარიატი და აღმასრულებელი კომიტეტი საყოველთაოთ აცხადებს.

გულ-მოკლული მეუღლე ეფრაფინა სპირიდონის ასული ხაჟალიასი, მშობლები: სერაპიონ და მარიამ აბულაძეები, შვილი სერგეი, და ლიზა, სიძე დავით ეჯიბაძე, სიმამრი სპირიდონი, სიდედრი ეფროსინე, ცოლის-ძმები აპალონ და ვარლამ, ცოლის დები: ქეთო, ოლია, ლიზა და ვერა ხაჟალიები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თფილისის წითელ-გვარდიელის დაუვიწყარ

გრიგოლ (გრიშა) სერაპიონის ძის აბულაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას დ. ოჩამჩირეში დაკრძალვა და საუკუნო გამოთხოვება მოხდება სოფ. დილიკაურში (შორაპნის მაზრა).

მე-11 ქართველ მსროლელთა პოლკის სარდალი და ოფიცერთა საზოგადოება გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მიმდინარე მაისის 14-ში, ბრძოლის ველზედ, სოფელ სართოსთან, მოკლულ იქმნა გმირი, სასიქადულო ამხანაგი და სამშობლოსათვის თავდადებული შვილი, ამავე პოლკის პოდპოლკოვნიკი

გიორგი პავლეს ძე კობეშავიძე

დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ქალ. კავშირის თფილისის № 51 ლაზარეთის პერსონალი გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძვირფასი თანამოსამსახურის

პეტრე ლუკას ძე აბალიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, ლაზარეთის სადგომში ნაშუადღევის 1 საათ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოხადებული. (1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ძმა ბარნაბა, და კატო ფარცვანიის სანაძის ასული, რძალი ეკატერინე, ძმის წულები: შურა, ჟორჟიკა, კარლოსი, თამარა და თინა სანაძეები, სიძეები: ალექსი ფარცვანია და პლატონ შალამბერიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობ-მოკეთეებს, რომ 15 მაისს თფილისის სადგურის ლიანდაგზე უცაბედათ მატარებლის ქვეშ მოჰყვა და გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

ბუბულო (ბარბარე) მერაბის ასული სანაძისა,

რომლის გასვენება რკინის გზის საავათმყოფოდან ქალაქ ხონში დანიშნულია შაბათს 18 მაისს საღამოს ხუთ საათზე. დაკრძალვა მოხდება მეცხოვრის ეკლესიაზედ საკუთარ ბინიდგან კვირას 19 მაისს, საღამოს 3 საათზედ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე. 2—2

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მენიკო, შვილები: ყარამან და მატრონე, რძალი პელაგო ქარცივაძენი, სიძე ვასო კვაჭანტირაძე და დისწული: ივანე გოგუა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ს. ყულაში გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი

გიორგი ზაალის ძე ქარცივაძე,

რომელიც დაკრძალულ იქნა სოფ. ყულაში, ჯურუყვეთის საზოგადოებაში.

ღრმად დამწუხრებული სიზა მიხეილის ასული ხუნდაძისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და მოკეთეთ, ხუთშაბათს 23 მაისს (ახალი სტილით) სოფ. კალაგონში ღვთისმშობლის ეკლესიაში დილის 11 საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი ძვირფასი მეუღლის

ალექსი იესეს ძე ხუნდაძის

სულის მოსახსენიებლათ.

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ნინეტა, ძმები: ისიდორე, ტიტიკო, ილია, მოსე, დათიკო და კარლო, დები: ელისა, ანეტა და თამარ, რძლები: მარო, ფეფო და პაშა თალაკვაძენი და სიძე დათიკო შარაშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ დღეს 12 ს. თფილისში კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგული კომერციულ სასწ. მოწაფის

მიშა სილოვანის ძე თალაკვაძის

სულის მოსახსენიებლათ. (1—1)

დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა

თანამედროვე მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა აშკარათ გაშიშვლდა და მათი იმპერიალისტური მისწრაფება საქვეყნოთ გამომჟღავნდა. ის, რაც წინეთ პრობლემატიური იყო, დღეს უკვე სინამდვილეთ გადაიქცა და მრავალ წვრილ, დამოუკიდებელ ერებს, თავისუფალ ქვეყნებს თვითარსებობის და თვითგამორკვევის უფლება მოუსპეს.

ამ მსოფლიო ომის ხანაში დაშალეს ზოგიერთა დიდი სახელმწიფო, ჩამოაცალეს მრავალი გუბერნიები და ზოგიერთა პატარა ხალხს მთლათ წაართვეს დამოუკიდებლობა. გამარჯვებული იმპერიალისტური სახელმწიფოები ისეთ კომბინაციებს აწყობენ, როგორიც ეს მათი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებისათვის ხელსაყრელია. აქ სამართლიანობა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი სრულიათ შეუწყნარებელია და იგი გამუდმებით ფეხქვეშ ითელება. ასეთია მათი ისტორიული მისია, მათი აღორძინებისა და განვითარების პროცესი.

ევროპაში და საზოგადოთ მთელს დედამიწის ზურგზე დიდი სახელმწიფოები ასეთ ძალმომრეობისა და წვრილი და განუვითარებელი ერების დამორჩილების ნიადაგზე აღმოცენდენ. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ქვეყანას არწმუნებდენ, თითქოს ამ მსოფლიო ომის ხანაში წვრილი ერების ინტერესების დაცვას ემსახურებოდენ—სინამდვილე სრულიად წინააღმდეგს ლაპარაკობს [illegible] ლა-შემოხლის ხანაში მრავალი დამოუკიდებელი ერები განადგურდენ და თავისუფლება დაკარგეს.

მაგრამ იმპერიალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკა მარტო ამით არ კმაყოფილდება; ისინი ხშირათ საწინააღმდეგო მისწრაფებასაც იჩენენ და დამოკიდებულ და დამორჩილებულ ერებს თუ ქვეყნებს თავისუფლებას ანიჭებენ. იქ, სადაც მათთვის არა თუ ერის თავისუფლება საჭიროა და ეს სახელმწიფოები მათ ბუფერათ გამოადგებიან—უმალვე მათ დამოუკიდებლობას აძლევენ, მხოლოდ საცა ეს მათ იმპერიალისტურ პოლიტიკას ეწინააღმდეგება იქ ქვა-ქვაზე აღარ ტოვებენ.

გავიხსენოთ უკრაინისა და ფინლიანდიის ახლო წარსული. ცენტრალურმა სახელმწიფოების კავშირმა აქ დასახლებულ ერების დამოუკიდებლობა აღიარა და მის განმტკიცებაში იარაღით ხელში მონაწილეობა მიიღო. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობაც თითქოს აღიარეს და ეს დღიურ წესრიგში დააყენეს. ერთი სიტყვით დიდი სახელმწიფოები, გამარჯვებული კოალიცია ერთსა და იმავე დროს ზოგს დამოუკიდებლობას ანიჭებს და ზოგს თავისუფლებას უსპობს, იმის და მიხედვით, თუ რა უფრო ხელსაყრელია მათთვის.

ერთა თვითგამორკვევა, დამოუკიდებლობა თუ დამოკიდებულება დროს და გარემოების საკითხია და მას ანხორციელებს იმდენათ, რამდენათაც ამას მისი იმპერიალისტური ინტერესები მოითხოვს. ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მოსახლე წვრილი ერების ფედერატიული კავშირი ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა უარყვეს და ნებას არ აძლევდენ ისინი ასეთ პოლიტიკური ფორმის საშუალებით შეკავშირებულიყვნენ. ბალკანეთის ხალხის მთლიანობა და ფედერატიული, რესპუბლიკანური კავშირი მათ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და ამიტომაც მათ საშუალება არ მისცეს შეკავშირებულიყვნენ.

სამაგიეროთ წინააღმდეგ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების ისტორიულ ტენდენციისა, მათ უკანასკნელ დროს ალბანეთს ერთგვარი დამოუკიდებლობა მიანიჭეს და შექმნეს სრულიად უმნიშვნელო ერთეული. თავისთავათ საგულისხმოა, ალბანეთის ავტონომიამ ბალკანეთის—ისედაც დასუსტებული კავშირი დაუძლურა და იქ იმპერიალისტების პოლიტიკა გააძლიერა.

ამიერ-კავკასიაშიაც,—როგორც საზავო მოლაპარაკებიდან ირკვევა,—გერმანია-ოსმალეთის საზავო დელეგატები ბალკანეთის პოლიტიკას ადგანან. მათ, ეტყობა, განზრახვა არ ჰქონიათ ამიერ-კავკასიის ერებიდან შესდგეს ფედერატიული, დამოუკიდებელი რესპუბლიკა და მით შექმნას ისეთი ეკონომიური და პოლიტიკური ერთეული, რომელიც დამოუკიდებლათ იარსებებდა და იმპერიალისტურ სახელმწიფოების დამორჩილების პოლიტიკიდან თავს გაითავისუფლებდენ. ჩვენ არ ვიცით საბოლოოთ ეს მოლაპარაკება რით დასრულდება, მხოლოდ ერთი რამ კი აშკარაა: ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ-ფედერატიული რესპუბლიკის ბედი ბეწვზე ჰკიდია და მოწინააღმდეგენი მოულოდნელი ნობათით გვიმასპინძლდებიან. ადვილი შესაძლებელია ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ ფედერატიული რესპუბლიკა დაშალონ და ისეთი ერთეულები გამოსჭრან, როგორიც ეს მათთვის ხელსაყრელია. მაგრამ ეს ძალადობით მოხვეული ფორმა იქნება და ამას ამიერ-კავკასიის დემოკრატია არა დროს არ მოითხოვს. თუ რამე ამის მზგავსი გაკეთდა, ეს ჩვენი სურვილის წინააღმდეგ იქნება და ჩვენც იძულებული გავხდებით უხეშ ძალას დავემორჩილოთ. ამიერ კავკასიის დემოკრატიის ბედს იმპერიალისტური სახელმწიფოები სწყვეტენ და თავის სურვილისამებრ აწყობენ საქმეებს.

პრესა

„სახალხო საქმე“ ეხება დღევანდელ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის მთლიანობა უკვე შერყეულია და ამის ბრალს უმთავრესათ მუსულმანობას აკისრებს. ის სწერს:

„სრული პოლიტიკური მოუმწიფებლობა გამოიჩინეს განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის მაჰმადიანებმა. მაჰმადიანობის პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა პარტიებმა პოლიტიკურ [illegible] ალღო ვერ აუღეს იმ დიდ უპირატესობას, რომელსაც აძლევდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა იმავ მაჰმადიანებს: ისინი აშკარათ ოსმალეთისაკენ გადაიხარენ და შეჰქმნეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ოსმალეთის მიერ სრულს ოკუპაციასაც კი მთელი აღმოსავლეთი ნაწილისას დიდი სიამოვნებით შეჰხვდებიან“.

ქვემოთ გაზეთი სამართლიანათ აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის მთლიანობის და დამოუკიდებლობის დარღვევა დიდი უბედურებაა ამიერ-კავკასიის ყველა ერისთვის და უბედურებაა უფრო მეტად თვით ამიერ-კავკასიის მაჰმადიანობისათვის.

რამ გამოიწვია მაჰმადიანებში ოსმალეთის ორიენტაციის შემუშავება?

„სახალხო საქმე“ ამაზე ამბობს:

„სარწმუნოებრივი მომენტი მაჰმადიანობაში უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე პოლიტიკური და მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის ბედის გამორკვევაში“.

ასეთი შეხედულება არ არის სწორი, რასაც „სახალხო“ თითონვე გრძნობს და ასე განაგრძობს ზემოთ მოყვანილ აზრს:

„მაგრამ არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომელსაც, უეჭველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაჰმადიანთა ორიენტაციის შემუშავებაზე. ეს არის უდიდესი და უძლიერესი გავლენა მასაზე გაბატონებულ კლასისა—ბეგებისა და აღალარების, რომლებიც ამიერ-კავკასიის დემოკრატიის სარევოლიუციო მუშაობამ დააფრთხო, უფრო კი დააფრთხო აგრარულმა მოძრაობამ“.

სწორეთ ეს არის მიზეზი ოსმალეთის ორიენტაციის და არა სარწმუნოება: იყო დრო, როცა სარწმუნოება ადგილობრივ ბეგებს უერთგულეს ქვეშევრდომებათ ხდიდა რუსეთის მართლმადიდებელ ხელმწიფისას. და ეჭვი არ არის რუსეთში რომ თვითმპყრობელობა დამყარდეს და ოსმალეთში სოციალიზმი—ბეგები ისევ რუსეთისაკენ იბრუნებენ პირს.

მდგომარეობა ქმნის შეგნებასო—ამბობს მარქსი.

* * *

„საქართველოც“ არ მალავს თვის ზეგურ ორიენტაციას. ის დარწმუნებულია, რომ ოსმალებს და სომხებს შორის ომი აუცილებელია. ამის გამო „საქართველოს“ აზრით განსაცდელი მოგველის და ამ განსაცდელის თავიდან ასაცილებლათ ის გვირჩევს:

„საქართველოს სრული გამოყოფა და დამოუკიდებლობა კი ამ ახალს განსაცდელს აგვაცდენს. ასეთია პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ჩვენს წინ დგას. პოლიტიკურმა აზრმა ახლა უნდა იჩინოს თავი ჩვენში“.

საქმეც ის არის, აგვაცდენს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოსალოდნელ განსაცდელს. ნაციონალისტებისთვის რომ ყური დაგვეგდო, ჩვენ დიდი ხნის წინეთ უნდა დაგვერღვია დემოკრატიული ფრონტი. ხალხს, დემოკრატიას არ შეუძლია აჩქარება და საქართველოს დემოკრატიაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გადასდგამს ასეთს ნაბიჯს, როცა სხვა გზა მას არ ექნება.

ბოლშევიკების ახალი გეგმა

რუსული გაზეთები მეტად საინტერესო ცნობას გადმოგვცემენ ბოლშევიკების ახალი პოლიტიკის შესახებ. ლენინს გადაუწყვეტია მოიწვიოს თანამშრომლებად ბურჟუაზიული ელემენტები და მათი დახმარებით მოაწყოს რუსეთის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება. მართალია ეს თანამშრომლობა, ლენინის აზრით, უნდა იყოს საქმიანობის ნიადაგზედ, რადგანაც მუშები მოუმზადებელნი არიან წარმოების მოსაწყობად. ლოღიკა ამ თანამშრომლობის კი, ჩვენი ღრმა რწმენით, უნდა მივიდეს თავის დასკვნამდის. ბურჟუაზიული წრეები, როგორც უფრო გამოცდილნი, გახდებიან წარმოების ხელმძღვანელები. ხოლო ვინც ხელმძღვანელია, ის კანონმდებელიც გახდება. ლენინი ამზადებს შეგნებულად ნიადაგს ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებისთვის. აქ ის ასრულებს თავის ძველ დაპირებას: ბურჟუებო, ჩამოდექით, პროლეტარიატი დაგიმყარებთ თქვენ დემოკრატიულ რესპუბლიკასო.

თავის ახალ საპროგრამო სიტყვაში ლენინი [illegible] სახელმწიფოებრივ სოციალიზმს. ამ [illegible], როგორც მინისტრ-პრეზიდენტის, მეტად მარტივია. მას შეუძლიან მოიწვიოს რომელიმე პრუსიის ლიბერალი პროფესორი და მას ჩააბაროს სახელმწიფოებრივი სოციალიზმის სამინისტრო. გერმანული მეთოდით ის მოაწყობს ამ საქმეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩამორჩენილ რუსეთში. მაგრამ ლენინს, საერთოდ მაგარი ხასიათის პიროვნებას, შიში შეპარვია. ის ამჩნევს, რომ წვრილი ბურჟუაზიას თავი წამოუყვია და ემუქრება ბოლშევიკურ პლანებს. უსაფუძვლო შიშია. სახელმწიფოებრივი სოციალიზმი წვრილი ბურჟუაზიის და ფეოდალების ეკონომიური პროგრამაა. ლენინი ვერ ამჩნევს, რომ ის თვითონ არის წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი. როგორც თავკომბალა (ГОЛОВОСТИКЪ) ვერ ამჩნევს როგორც გამოიჩეკება მისგან ბაყაყი, ისე ბოლშევიკების ლიდერს ვერ შეუნიშნავია, როგორ გადაიქცა ძველი ბლანკისტი პრუსიულ ლიბერალად. ასე დაემართა რუსეთის „მეშჩანების“ ლიდერს.

ბოლშევიკებს ჩვენ წინააღმდეგაც ახალი პროგრამა წამოუყენებიათ. ისინი არ ცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას. ეს უფრო სახიფათოა ჩვენთვის, ვიდრე მათი ახალმოდის სოციალიზმი. კავკასიის პატარა ერების წინააღმდეგ საბრძოლველათ მათ ადვილად დაუკავშირდება გენერალი რადკო დიმიტრიევი და „ჭეშმარიტ რუსთა კავშირიც“. თუ გერმანიის მაღალ საფეხურზე მდგომმა პროლეტარიატმა ვერ შეიგნო ის, რომ იბრძვის სხვისი ინტერესებისთვის და არა თავისი სოციალისტური იდეალებისთვის, მით უფრო რუსეთის წვრილი ბურჟუაზია, რომლის წუმპეში სცურავს მინისტრი ლენინი, ვერ შეურიგდება კავკასიის დაკარგვას და ამ კითხვაში ადვილად მოხდება ფრონტის გაერთიანება. ჩვენ საქმე გვექნება თეთრ-ლურჯ-შავ-ბლოკთან. ეს მეტად სახიფათოა ჩვენი დემოკრატიისთვის და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ მოვლენას.

ბ. თეკლათელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

პირველი მაისის დღესასწაული მოსკოვში.

თუ როგორ ემზადებოდენ პირველი მაისის სადღესასწაულოთ ბოლშევიკები, ამის შესახებ „ვპერიოდ“-ი 30 აპრილის ნომერში სწერდა: „მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ პროლეტარიატის ეს დიდი დღესასწაული მუშათა გათიშვის დღეთ აქცია. მან აღუკრძალა ყველა სოციალისტურ პარტიებს მანიფესტაციაში მონაწილეობა [illegible] ტის ლოზუნგებით. ის მოუწ[illegible] პარტიის წინააღმდეგ საბრძოლ[illegible], ჩვენს პარტიას აცხადებს კონტრ-რევოლიუ[illegible] თანხმებელთა პარტიათ. მან [illegible] 8 საათის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაო დღის ლოზუნგი და ნაცვლად საყოველთაო შეიარაღებისა, წამოაყენა ლოზუნგი წითელი დაქირავებული ჯარის შედგენისა. როგორც 9 იანვარს, ისე 1 მაისს, მოსკოვის საბჭო მანიფესტაციას აწყობს შეიარაღებული ხალხის მონაწილეობით".

ამიტომ რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის მოსკოვის ორგანიზაცია მოუწოდებდა ამხანაგებს, რომ „ამგვარ სახაზინო მანიფესტაციაში ჩვენ ვერ მივიღებთ მონაწილეობას, ჩვენ აღვნიშნოთ 1 მაისის დღესასწაული მუშაობის შეწყვეტით და მიტინგების მოწყობით საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის პირველი მაისის ლოზუნგებითო".

როგორ ჩატარდა ეს დღესასწაული? 3 მაისის „ვპერიოდ"-ი ამის შესახებ სწერს: „ყველაფერი გააკეთეს ბალშევიკებმა, რომ დღესასწაულისთვის დიდებული სახე მიეცათ. დიდძალი წითელი დროშები ფრიალებდენ სახლებზე. ზომები იყო მიღებული, რომ ხალხს მხიარული სახე ჰქონოდა.

ქუჩებში გამოიყვანეს ყოველგვარი ჯარის ნაწილები: ქვეითი ჯარი, კავალერია, არტილერია, ჯავშნიანი ავტომობილები და ტყვიის მფრქვეველები.

პურის ულუფა ნახევარ გირვანქამდე გაადიდეს. ერთ-ერთ ბანკში ბალშევიკებმა წინადადება მისცეს, რომ გამოერკვიათ იმათი ვინაობა, ვინც დემონსტრაციაზე არ გამოცხადდებოდა. ასეთი ხალხი, რომლებიც თავს შეირცხვენდენ დემონსტრაციაზე დაუსწრებლობით, უნდა დაეთხოვათ სამსახურიდან და სხ. ენტუზიაზმს, აღფრთოვანებას მოკლებული იყო ეს დღესასწაული. ხელოვნურათ შეგიძლიათ შექმნათ რანაირი სურათიც გსურთ, მაგრამ ცოცხალი სულის ჩაბერვა მასში ძნელია. გასულ წელს ბრძანების გაუცემლათ, მოუმზადებლათ გამოეფინენ მუშები და ჯარისკაცები ქუჩებში ასიათასობით. აღფრთოვანებული ხალხი მთელი დღე ქუჩებში მოძრაობდა და ჭეშმარიტათ ყველგან დღესასწაული იყო: მხიარულება იყო და ამას გრძნობდა ყველა.

მეტათ დიდი იყო რევოლიუციონური აღფრთოვანება, ნაკლები—წითელი დროშები. მაშინ ყველა გრძნობდა, რომ ის მონაწილეა მუშათა უდიდესი დღესასწაულისა.

ასე არ იყო წელს. აუარებელი წითელი დროშები და დღესასწაულის მიმქრალი სახე! აგერ ტეერის მოედანზე მცირე ჯგუფი მუშებისა მიდის, რომელთაც თან 20 „პლაკატი" მიაქვთ. დროშების მთელი ტყეა, ხალხი კი ცოტაა. ისინიც კი, რომლებიც ქუჩებში გამოეფინენ ნაკლებათ მოგაგონებენ „მსოფლიო მებრძოლთა ავანგარდს" არ ისმოდა სიმღერა—რაღაც შინაგან გულგრილობას გრძნობდა ყველა და ეს იყო ისეთი „კრახი", რომელიც არავის არ გაახარებს, ვინაიდან აქ ლაპარაკია არა მარტო ბალშევიკებზე.

ცოცხალი სული სადღაც მიფრინავს, რასაც ხელს უწყობენ ბალშევიკები. საკმაო იყო შეგეხედათ სახეზე ჯარისკაცისთვის, რომ ამოგეკითხა: არც ერთი მათგანი თავის დანიშნულების სიდიადეზე არ ფიქრობდა. უბრალოთ მოხდა—უბრძანეს გასეირნება. ეს იყო საცოდავი დემონსტრაცია სამხედრო სისუსტისა და ისინი, ვის შესაშინებლათ ჯარი გამოიყვანეს, იცინოდენ.

1918 წლის პირველი მაისი იმ გახრწნის დემონსტრაცია იყო, რომელიც მუშათა წრეებში ბალშევიკებმა თავიანთი საოცარი პოლიტიკით შეიტანეს.

სამწუხარო დღე იყო! სამწუხარო იყო ყველასთვის"!

მთავრობის ცნობა

უკანასკნელ ოპერატიულ ცნობაში ნახსენები იყო, რომ გუმბრი ოსმალებმა 15 მაისის 17 საათზე აიღეს და ჩვენმა ჯარმა აღმოსავლეთისკენ დაიხია უკანო. ამ ფრონტზე შემდეგში ეს მოხდა: 16 მაისს ოსმალთა მთავარსარდლობამ სომხურ კორპუსის უფროსს გენ.-ლეიტ. ნაზარბეკოვს ულტიმატუმი წარუდგინა და მოსთხოვა გადაწყვეტილი პასუხი გასცეს ერთი საათის განმავლობაში და დაბეჯითებით მოითხოვდა ოსმალთა ჯარი გაეშვა ჯულფისაკენ. ოსმალთა მთავარსარდალი იტყობინებოდა: „თუ თქვენ უზრუნველჰყოფთ ჩვენი ჯარის მოძრაობის წესიერება უზრუნველყოფილი იქნება ამ შემთხვევაში დარწმუნებულნი იყავით, რომ ლოიალურად მოგექცევით, ხოლო თუ თქვენ მტრულად მოგვეპყრობით ჩვენ იძულებულნი გავხდებით ქვეითათ გავილაშქროთ და ვერ უზრუნველვყოფთ მცხოვრებთა სიწყნარეს დაძრულ ჯარისაგან". ოსმალთა სარდალი იტყობინებოდა, რომ ის დაიწყებს მოძრაობას პასუხის მიღებამდე; ამ შემთხვევაში ის დაეყრდნობა საერთო სტრატეგიულ მდგომარეობას და რადგანაც ერთი საათის ვადამ განვლო გენ. ნაზარბეგოვმა თავის თავად საკითხის გადაჭრა და პრინციპიალური თანხმობა მისცა ოსმალთა მთავრობის პასუხის მიღებამდე. ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოსმალთა სარდლობას უნდა სცოდნოდა კარგათ, რომ ამ ხასიათის საკითხების გადაჭრის უფლება მთავრობას აქვს მხოლოდ, რომელსაც ის ყველაფერს ამის შესახებ შეატყობინებს. მიიღო რა ოსმალთა მოთხოვნილებანი გენერალ ნაზარბეგოვმა, ამასთანავე ერთათ მოითხოვა წინსვლის შეწყვეტა და როგორც ოსმალთა, ისე ამიერ-კავკასიის ჯარების დატოვება წინანდელ ადგილზე ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლების და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის საზავო დელეგაციის შეთანხმებამდე ბათუმში. გენ. ნაზარბეგოვმა იმავე დროს სთხოვა ოსმალთა სარდლობას ნება დართონ გუმბრის ლტოლვილებს სახლებში დაბრუნდენ.

გენ. ნაზარბეგოვის შეკითხვაზე მთავრობა ემყარება რა გუმბრის რაიონში მომხდარ ამბებს, თანახმაა ოსმალთა წინადადებისა იმ პირობით, რომ ტეხნიკური პირობები ბათუმში იქნეს განხილული და მოითხოვა ჯარი უმტკივნეულოთ გადმოყვანილ იქნეს სადემორკაციო ხაზზე, რათა არ მოხდეს ორი ლაშქრის შეტაკება.

რადგანაც ბოლო დროს ოსმალთა სარდლობამ გუმბრის მიმართულებით გენ. ნაზარბეგოვს პოლიტიკურ ხასიათის ულტიმატუმების წარმოდგენა დაუწყო, მთავრობამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს ა. ი. ჩხენკელს მოსთხოვოს ოსმალეთის უმაღლეს მთავარ-სარდლობას, რომ ყოველგვარი პოლიტიკურ ხასიათის მოთხოვნილებებით მიმართონ პირდაპირ ამიერ-კავკასიის მთავრობას.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

17 მაისი.

ბერლინი. კემელის ჩრდილოეთით ფრანგებს დავატოვებინეთ წინა დღით დაკავებული სანგრები. ფრონტით დანარჩენ ნაწილებში საარტილერიო ბრძოლაა. ავრის დასავლეთ ნაპირზე მტრის მიერ მოტანილი იერიში უშედეგოთ დამთავრდა. ჩამოვაგდეთ მტრის 33 ჰაეროპლანი.

ვენა. იტალიის ფრონტი. ბრენტოის და პიავეს შუა მოვიგერიეთ იტალიელთა შემოტევა.

მაკედონიის ფრონტი. ოხრიდის ტბასთან ორივეს მხრით გაძლიერებული საარტილერიო სროლაა. ინგლისელების რამზმი, რომელიც ცდილობდა ჩვენ სადარაჯო ადგილთან მოახლოვებას გავრეკეთ.

პარიზი. ქვეითი ჯარის და საარტილერიო ბრძოლაა ავრის რაიონში. სხვა ადგილებში სიწყნარეა.

რუსეთის წარმომადგენელს იოფეს ბერლინში. დღეს, 17 მაისს გრაფ მირბახს შემდეგი შინაარსის წერილი გავუგზავნე: ჩრდილოზღვის ნაპირებთან გერმანიის წყალქვეშა ნავმა რამდენიმე სათევზაო გემი დაღუპა. გუშინ დილის 8 საათზე გერმანიის წყალქვეშა ნავი გაუფრთხილებლათ იერიშით მივიდა ვანდას ნავთსაყუდელში გერმანიის საზოგადოების გემ „ფედორ ჩიჟოვზე". ეს გემი მოდიოდა ბარდედან ალექსანდროვსკში, თან მოჰყავდა ემიგრანტები და მოქონდა თევზი გერმანიის ნაპირის მცხოვრებთათვის. იმ მგზავრებს, რომლებიც შეეცადენ ნავით გადარჩენა, გერმანელებმა ტყვიები დაუშინეს—მოჰკლეს სამი, დასჭრეს მძიმეთ ორი. ეს თავდასხმა ჭეშმარიტათ აღაშფოთებს რუსეთის ფართო მასას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ტრაღიკული შემთხვევა მოხდა გერმანიის სურვილის წინააღმდეგ, ვინაიდან ჩვენ სანაპიროებთან ინგლისს არავითარი დამოკიდ. არ აქვს და გერმანიისა და რუსეთის შორის მშვიდობიანი დამოკიდებულებაა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის მთავრობა დამნაშავეს დასჯის და დაზარალებულთ ზარალს აუნაზღაურებს. გარეშე საქმეთა კომისარი

ჩიჩერინი.

კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

17 მაისი.

შავი ზღვის პირის რაიონში და ახალციხის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა. ალექსანდროპოლის ოსმალთა მიერ დაკავება ასე მოხდა: 15 მაისს ჩვენს მარჯვენა ფრთაზე ოსმალებმა დაიკავეს ორტაკილისი, მოსწყვიტეს რკინის გზა და განაგრძეს შემოტევა ჯაჯურზე. მარცხენა ფრთაზე ოსმალებმა დაიკავეს კარაკლისი და ალექსანდროპოლის ზურგში მოექცენ. დროებით ზავის ასე მოულოდნელათ დარღვევამ ოსმალების მიერ ქალაქში და მის მიდამოებში წარმოუდგენელი შიში, „პანიკა" გამოიწვია—მცხოვრებნი სულ ერთათ გაიქცა, მათ აიყოლიეს ჯარისკაცებიც, ყველამ ოჯახებს მოაშურა საშველათ. უიმედო მდგომარეობის გამო ბრძანება გამოიცა გაეგზავნათ პარლამენტიორები იმ მიზნით, რომ ქალაქის გადაცემა მომხდარიყო ხელსაყრელ პირობებში. ალექსანდროპოლის ქალაქის და ციხის ჩაბარების პირობები ასეთია: 1) ყოველგვარი იარაღი უნდა დარჩეს ქალაქში და ჩაბარდეს ოსმალებს. 2) ქალაქში შემოდის ოსმალთა ჯარების ერთი ნაწილი ქალაქში წესიერების დასაცავათ, სხვა ჯარები აღმოსავლეთით დაიწყებენ შეტევას. 3) ჩვენმა ჯარებმა უნდა დაიხიონ მდ. არპაჩაიდან 25 კილომეტრით. 4) რკინის გზის სადგური, დეპო, სახელოსნოები, ორთქლმავლები და აგრეთვე ყოველგვარი ქონება ქალაქში უნდა მთელად დარჩეს. ჩვენი ჯარები ალექსანდროპოლის აღმოსავლეთით მაგრდება პოზიციაზე.

ახალი ამბები

დღეს, პირველ საათზე დანიშნულია ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ს. დ. მ. პ. კრება. ბიუროს ბინაზე, გოლოვ. პროს. № 12 სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლათ დანიშნულ დროზე მოსვლას.

◆ **მოსკოვის, პეტროგრადის, სარატოვის, ცარიცინის** და საზოგადოთ ჩრდილოეთ რუსეთში მყოფ ქართველ მშობელთა საყურადღებოთ, ამ ჟამათ თფილისში იმყოფება მოსკოვის ქართველთა კოლონიის შიკრიკი, რომელიც მიემგზავრება რუსეთში 21 მაისს და ვისაც აქვთ ზემოხსენებულ ქართველთან გასატანი წერილები სთხოვს შემოიტანონ „ერთობის" რედაქციაში ორშაბათს, 20 მაისს დილის 10 დან 12-მდე.

◆ **ქალთა წრე**, რომელსაც მიზნად აქვს შემწეობა აღმოუჩინოს ჩვენ მეომრებს ფრონტზე ქართული საჩაიე „ძმურ ბუდეში" (გოლოვინის პროსპექტი) დღეს მართავს ჩაის. მთელი შემოსავალი დაიხარჯება ჯარისკაცებისათვის საჩუქრების საყიდლად. დილით 12 საათიდან ღამის 12 საათამდე საჩაიეში დაუკრავს მუსიკა. საჩაიე გაღებული იქნება ღამის 1 საათამდე.

◆ **მთავრობის** წინადადებით სეიმის იურიდიულმა კომისიამ შეიმუშავა ტექსტი ოფიციალურ განცხადებისა ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე რუსეთის სახელმწიფოს კანონების მოქმედების შესახებ. გამოტოვებული იქნება ზოგიერთი კანონები.

◆ **შრომის სამინისტრო** თათბირს იწვევს ლტოლვილთათვის საზოგადო სამუშაოს მოსაწყობათ.

◆ **მუშათა პირველი კლუბი** გაიხსნება დღეს, საღამოს 5 საათზე მიხეილის ქუჩაზე № 65 სახლში. წაკითხულ იქნება ლექცია—მუშათა კლუბი და პროლეტარული კულტურა, გაიმართება ინტერნაციონალური წარმოდგენა, კინემატოგრაფი, მუსიკა. კლუბის წევრთათვის შესვლა უფასოა, სტუმრებისთვის ბილეთი ღირს 1 მან.

◆ **აღმასრულებელ კომიტეტის** გადაწყვეტილების თანახმათ უნდა შეიქნას საქართველოს ეროვნულ საბჭოს წიგნთსაცავი. ამიტომ კომიტეტი მოუწოდებს ყველა ქართულ დაწესებულებებს თუ კერძო პირთ შეჰსწირონ ხსენებულ წიგნთსაცავს თავიანთი თუ სხვისი გამოცემები.

◆ **ჰიმნების რეპეტიცია და ყრილობა.** დღეს, 19 მაისს დილის ათი საათიდან ქართულ კლუბში დანიშნულია მუსიკოს მომღერალთა ყრილობა და კ. ფოცხვერაშვილის ჰიმნების რეპეტიცია. ყრილობას მეტად საგულისხმიერო საკითხები აქვს გასარჩევი და ამისათვის საჭიროა ყველა ქართველ მუსიკის მომღერლებთა დასწრება.

◆ **მიტინგი.** კვირას, 19 მაისს დილის 10 საათზე ავლაბარში (ავლაბარ პალასი) კონსტანტინეს ქ. № 11, შესდგება დიდი მიტინგი. მომენტზე ილაპარაკებენ ამხ. ირ. წერეთელი. სომხურათ ამხ. ბეგზადიანი.

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ სეიმის ანგარიშში გამორჩენილია ის ადგილი, სადაც უნდა იყოს, რომ თუმანოვი ლორთქიფანიძეს ცილის-მწამებლურს უწოდებს, უკანასკნელი თუმანოვს იწვევს არა ამხანაგურ სასამართლოში.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის წევრთა კრება.

— დღეს, 19 მაისს დილის 10 საათზე ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა 18) დანიშნულია ამავე დარგის მუშათა „სავადმყოფო კასის" საზოგადო კრება, ვინაიდან ეს კრება მესამეთაა დანიშნული, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, კანონიერათ ჩაითვლება.

— დღეს დილის 11 საათზე დანიშნულია ქალაქის ხმოსანთა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კრება ქალაქის თვითმართველობის დარბაზში.

— დღეს, საღამოს 5 საათზე მეოთხე რაიონის კლუბში ს. დ. მ. პ. უდელის ქუჩა, № 3 დანიშნულია საზოგადო კრება მეოთხე რაიონის პარტიის წევრების. კრებაზე შესვლა შეიძლება მხოლოდ პარტიის ბარათებით.

— დღეს დილის 10 საათზე კავშირის ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა № 18) ხეზე მომუშავეთა კავშირის გამგეობა იწვევს საზოგადო კრებას.

— დღეს დილის 10 საათზე მუშათა კლუბის შენობაში (მიხეილის ქუჩა) შესდგება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, შუადღის 12 საათზე, „ბორბა"-ს კანტორაში შესდგება საგამომცემლო კომისიის სხდომა. სთხოვენ საოლქო, თფილისის კომიტეტის და სარაიონო კოლექტივების წარმომადგენლებს დაესწრონ სხდომას.

— დღეს, 19 მაისს, დილით 11 საათზე, ავჭალის აუდიტორიაში (ჩერქეზოვის და მალაკანის ქუჩის კუთხე), დანიშნულია „კოოპერატივ „შრომის" წევრთა წლიური საზოგადო კრება.

გიორგი მაჩაბლის ხსოვნას

დღეს 45 დღეა მას შემდეგ, რაც დ. ცხინვალში, სხვა ამხანაგებთან ერთად, ვერაგულად მოკლეს და აწამეს ჩვენი საუკეთესო ამხანაგი, გიორგი მაჩაბელი, რომელმაც არა ერთხელ და ორხელ საქმით დაამტკიცა, რომ ის იყო მართლაც საუკეთესო პარტიული ამხანაგი და თავდადებული მებრძოლი. ვის არ ახსოვს 1905 წელი, ეს დიდებული ხანა მშრომელი ხალხის ერთსულოვანი გამოსვლისა. სად იყო იმ დროს გიორგი მაჩაბელი? ის იყო გორის მაზრაში და ხალხის მიერ ერთხმად არჩეული საერთო ხელმძღვანელად, ის ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას.

1905 წელს მოჰყვა 1906—ეს საშინელი ხანა რეაქციის, როდესაც მუსრს ავლებდენ ყველაფერს, რასაც კი თავისუფლების სუნი უდიოდა. ვის არ ახსოვს გიორგი ამილახვრის მეთაურობით შემდგარი შავი რაზმი და მათ მიერ ჩადენილი საქმენი საგმირონი. სად იყო ამ დროს გიორგი მაჩაბელი? ის იყო იმავ გორის მაზრაში, სადაც მან გასაოცარის ენერგიით და უჯიათობით უცბათ შექმნა წითელი რაზმი, რომლის ხელმძღვანელობა თითონ იკისრა და სულ ცოტა ხნის განმავლობაში დაშალა შავი რაზმი... და იმ დღიდან ის არ მოშორებია გორის მაზრას. მიუხედავათ იმისა, რომ მას ჰქონდა საშვალება, როგორც კარგათ განათლებულს და ნიჭიერ კაცს, სხვა უკეთესი ადგილი და ბინა ეშოვნა. ბევრჯელ უთქვამთ გიორგისთვის: რას ჩააცივდი, კაცო, მაგ გორს, ჩამოდი თფილისში და აქ იმუშავე, მაგრამ გიორგი ვერ სცილდებოდა იმ გორს, სადაც ის ყველას იცნობდა და სადაც მას ყველა იცნობდა და აფასებდა, როგორც უმწიკვლო და თავდადებულ რევოლიუციონერს. ს. კეცხოველთან და სხვა ამხანაგებთან ერთად, ის მოჰკლეს და აწამეს ცხინვალში ხალხის მტრებმა, ავაზაკებმა; მაშ ვინ მოჰკლავდა გიორგის, ამ პატიოსნებით სავსე კაცს, მშრომელი ხალხისთვის თავდადებულს, გულკეთილს, განთქმულ ვაჟკაცს, ნამდვილ რაინდს, თუ არა ხალხის მტერი, ავაზაკი და არამზადა... მაგრამ ავიწყდებათ მტარვალებს, რომ სწორეთ გიორგისებური ლამაზი სიკვდილი აღვიძებს, გააორკეცებს ჩვენში ენერგიას და გვასწავლის, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი".

ან—ვინ.

მუშათა წერილები

ნაციონალისტების ამოძრავება.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაში ნაციონალისტებმა თავისი აქამდე დაფარული იდეალის განხორციელება დაინახეს. თუ დღემდის სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტები რევოლიუციის შიშით სოროებში იყვნენ მიმალულნი და თავიანთ განზრახვებს აშკარათ ვერ ამხელდენ, დღეს უკვე ისინი მზის სინათლეზე გამოვიდენ და ხმა მაღლა გაჰყვირიან იმას, რის აშკარათ თქმა ამ რამდენიმე ხნის წინათ სიზმრათაც არ მოელანდებოდათ.

არავისთვის საქვო არ არის ის ფაქტი, რომ ნაციონალისტების ამოძრავებას დიდი სამსახური გაუწია ბალშევიკებმა. ბალშევიკების მიერ 26 ოქტომბერს მომხდარმა გადატრიალებამ, სამოქალაქო ომის გაჩაღებამ და ძმათა შორის სისხლის ღვრამ, რუსეთის საერთო რევოლიუციონური ფრონტი გაარღვია, რუსეთი რამოდენიმე ერთეულებათ დაჰყო და თვითეული ნაწილი ამ ერთეულებისა იძულებული გახდა საკუთრათ შესდგომოდა თავიანთ საქმის მოწყობას და თვით ეწარმოებინა საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ასეთ პირობებში მოექცა ამიერ-კავკასიაც. ის 26 ოქტომბრიდან ძალაუნებურათ მოსწყდა რუსეთს და იძულებული გახდა საკუთარ საქმეს დამოუკიდებლათ გასძღოლოდა. ამ მიზნით ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა, ურთიერთთან შეთანხმებით შეადგინეს ამიერ-კავკასიის კომისარიატი, რომელიც გაუძღვებოდა ქვეყნის მართვა-გამგეობას დამფუძნებელ კრების მოწვევამდე რუსეთში. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბალშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს და თავიანთ ავანტიურაზე ხელის აღებას არ აპირებდენ, და მასთან მოსალოდნელი არ იყო მათი ახლო ხანში დაცემა და კვლავ დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელიც შესძლებდა დაშლილ რუსეთის გაერთიანებას, ამიერ-კავკასიის წინაშე საკითხი ასე იყო დასმული: ან უნდა ეცნო ბალშევიკების „მთავრობა" და გახვეულიყო იმ დამღუპველ სამოქალაქო ომში, რომელიც რუსეთში დღესაც არ დასრულებულა, და რომელმაც უკვე ნახევრათ დაასამარა რუსეთში რევოლიუცია, ან უნდა შესდგომოდა თავის საქმის საკუთრათ მოწყობას. პირველ გზას დემოკრატია რა თქმა უნდა ვერ აირჩევდა, მით უმეტეს ის ხედავდა მის შედეგებს რუსეთში. მან აირჩია მეორე გზა. თავისი ხელით შეუდგა თავის საქმის მოწყობას და ამ მიზნით მოიწვია ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელმაც ათ თებერვალს დაიწყო მოქმედება.

ამიერ-კავკასიის სეიმს სხვა მრავალ დიდ კითხვებთან ერთათ გადასაწყვეტი ქონდა ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული არა თუ მარტო რევოლიუციით მოპოვებულ უფლებების შენარჩუნება, არამედ ერის ფიზიკური არსებობაც კი. ეს საკითხი იყო ნიკოლოზის მთავრობის მიერ ანდერძათ დატოვებული ომის ლიკვიდაცია და საპატიო ზავის შეკვრა, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ისეთ პირობებში, როგორშიაც იმყოფებოდა ამიერ-კავკასია.

როდესაც სეიმმა სამშვიდობო დელეგაცია გაგზავნა ტრაპიზონში და მან შეიმუშავებული საპატიო ზავის პირობები გაატანა, ოსმალეთის დელეგაციამ მას მოსთხოვა, რომ ამიერ-კავკასიას თუ ის დამოუკიდებელ სამშვიდობო მოლაპარაკებას მართავს, უნდა ქონდეს იურიდიული უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ბრესტის ზავზე ემყარებოდენ და მოლაპარაკებას ზედმეტათ სთვლიდენ. მათ მოთხოვნას ისინი მით ასაბუთებდენ, რომ ამიერ-კავკასია თუმცა ფაქტიურათ დამოუკიდებელია, მაგრამ მას არ აქვს იურიდიული უფლება დამოუკიდებელი რესპუბლიკის, რადგანაც ეს ფორმა ჯერ ამიერ კავკასიის სეიმის მიერ ფაქტიურათ არ შესრულებულაო.

შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიას თავდაცვითი ომის წარმოებაც არ შეეძლო, რომ დაეცო ბალშევიკების მთავრობის გაჩუქებული ოლქები, ოსმალეთის იმპერიალისტები უფრო გათამამდენ და ჩვენს დელეგაციას ასეთი ულტიმატუმი წამოუყენეს: ამიერ-კავკასია ერთ და იმავე დროს გამოცხადებულიყო დამოუკიდებლათ და ამასთანავე ეცნოთ ბრესტის ხელშეკრულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამიერ-კავკასიას დაპყრობით ემუქრებოდა, ამიერ-კავკასიის სეიმმა უმჯობესათ დაინახა მიეღო ოსმალეთის ულტიმატუმი და დემოკრატია ფიზიკურ განადგურებისაგან გადაერჩინა. მან 9 აპრილს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება განაახლა.

მეორეს მხრივ კითხვა დაისვა თუ როგორი ფორმის კონსტიტუცია უნდა ყოფილიყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში. თუმცა ჯერ სამშვიდობო მოლაპარაკება არ გათავებულა და ჩვენ არ ვიცით რა შედეგს მოგვიტანს ის. არ ვიცით რას მოგვთხოვს მადა გახსნილი გერმანია-ოსმალეთის იმპერიალისტები. შეიძლება მათ ჩვენი დამოუკიდებლობა ფიქციათ აქციონ, რადგანაც მათ დღეს ამის ძალა შესწევთ, მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს საბუთს გულზე ხელი დავიკრიბოთ და ისე ვუცქიროთ ჩვენს ბედს. ამიტომ სწარმოებს დღეს მუშაობა მთავრობის მიერ საგანგებოთ შედგენილ კომისიაში და ეროვნულ საბჭოებში კონსტიტუციის ფორმის გამოსამუშავებლათ. ამ კომისიაში და ეროვნულ საბჭოებში ნაციონალისტები ამიერ-კავკასიაში რამოდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოს თუ რესპუბლიკის გამოცხადებას მოითხოვენ.

დამახასიათებელია ამ მხრით ქართველი ნაციონალისტების განგაში. ამ ვაჟბატონებმა, რომლების უმრავლესობას გუშინდელი ნიკოლოზის მთავრობის ლაქიობაში ამოსდიოდათ სული, რომლებიც თვითეული რუსის რეაქციონერის ჩამოსვლას ამიერ-კავკასიაში დიდის ზეიმით ეგებებოდენ და მუხლებზე კოცნიდენ, რომლებიც რუსის გარყვნილ ბერს—პიტირიმს მოჭედილ კვერთხსა და სხვა საჩუქრებს უძღვნიდენ და მათი შიშის ქვეშ ძრწოდენ, ასეთ ხალხს დღეს რუსეთიდან საფრთხე საქართველოსთვის სამუდამოთ აშორებულათ მიაჩნიათ და მზათ არიან ქვა და გუნდა მიაყარონ მათ და უკანასკნელი სულთათანა უგალობონ. მათ ვეღარ წარმოუდგენიათ რუსეთიდან საფრთხე მაშინაც კი, თუ გინდ იქ ისევ ნიკოლოზის მთავრობა აღსდგეს და ასეთი ხალხი ქართველ დემოკრატიას ურჩევს სამუდამოთ გასწყვიტოს ყოველივე კავშირი იმ შეგნებულ რუსეთის მუშათა კლასთანაც კი, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას თანაგრძნობით უყურებს. ასეთი ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვს, რომ ქართველმა დემოკრატიამ კავშირი გასწყვიტოს ამიერ-კავკასიის დემოკრატიასთანაც, რომლებთან ერთათ გადაჯაჭვულია მათი ინტერესები. ნაციონალისტები სიტყვით ვითომ ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავენ, (სახეში მყავს ხალხის უმრავლესობა). მაგრამ ნება მიბოძეთ ბატონო ნაციონალისტებო ეჭვი შევიტანოთ თქვენს საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესებისათვის „ბრძოლაში". ჩვენ კარგათ გვესმის ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის ვიწრო კლასიური ინტერესები და სულისკვეთება. როდესაც მათ ბატონობას რაიმე საფრთხე მოელის, თუ გინდ ეს უმნიშვნელო რამ იყოს, ისინი მაშინვე გარეშე ძალას მიმართავენ დასახმარებლათ, რომ ამ გზით თავიანთი ბატონობა დაიცვონ.

საილუსტრაციოთ მოვიყვან ორ მაგალითს: უკრაინის ბურჟუაზიამ გერმანიის ჯარებს გაუღო კარი ვითომდა ბალშევიკების გამოსადევნად უკრაინიდან, ნამდვილათ კი მტკიცდება, რომ ის მან მოიწვია ადგილობრივ მუშების და გლეხების საწინააღმდეგოთ. მეორე მაგალითი: ფინლიანდიის პროლეტარიატმა თანამედროვე რევოლიუციაში მიზნათ დაისახა თავისი პროგრა მინიმუმის განხორციელება და ბრძოლა გამოუცხადა ბურჟუაზიას. ფინლიანდიის ბურჟუაზიამ რაკი დაინახა, რომ ის უძლური იყო პროლეტარიატთან ბრძოლაში, დახმარება იმავ გერმანიის ჯარებს სთხოვა და ამ გზით დაამარცხა მუშათა კლასი და გაიმაგრა თავისი ბატონობა. ასეთი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ ბევრი შეიძლებოდა, მაგრამ ესეც კმარა მათ დასახასიათებლათ. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ, როდესაც ბურჟუაზია გაჰყვირის დამოუკიდებლობაზე, ხელმძღვანელობს არა ფართო მასის, მთელი ერის ინტერესებით, არამედ საკუთარი ვიწრო კლასიური ინტერესებით. და სწორედ ასეთი ფასი შეგვიძლია დავსდოთ ნაციონალისტების მოთხოვნასაც საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

რამდენათ პატარა ერები დამოუკიდებელი არიან თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში, იმდენათ ცუდია ის მისი დემოკრატიისთვის, რადგანაც მას საშვალება ესპობა დახმარება აღმოუჩინოს სხვა ერის დემოკრატიამ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში; ბურჟუაზიას კი უფრო ადვილათ ეხერხება ეს. ამისთვის ნურას უკაცრავათ ბატონო ნაციონალისტებო თუ თქვენი პროგრამა უარვყოთ და მედგრათ